



ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი

## კმაყოფილების კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია

**დამტკიცებული:**

სენატის სხდომის ოქმი N5.

თარიღი: 21.02.2023 წ.

დადგენილება N8.

**ცვლილება:**

სენატის სხდომის ოქმი N2.

თარიღი: 28.01.2025 წ.

დადგენილება N24.



## კმაყოფილების კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია

### შესავალი

„ნეუ ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის“ მიერ ჩატარებული კვლევის ტიპები:

1. სტუდენტის მიერ უნივერსიტეტის სერვისების შეფასების კითხვარი
2. სტუდენტის მიერ ლექტორის შეფასების კითხვარი
3. სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის შეფასების კითხვარი
4. სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი
5. კურსდამთავრებულის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი
6. დამსაქმებლის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი
7. აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების შეფასების კითხვარი
8. ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების შეფასების კითხვარი

კვლევის განხორციელების პროცედურები და პროცესი

პასუხისმგებელი პირები

კვლევის ინსტრუმენტები

კვლევის ადმინისტრირება

კვლევის შედეგების ანალიზი

კვლევის შედეგების გავრცელება

დანართები

## შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს „ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის“ (შემდგომში „უნივერსიტეტი“) პროცესების და საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და კმაყოფილების კვლევების განხორციელების გზამკვლევს. იმისათვის რომ უნივერსიტეტმა მუდმივად იზრუნოს სწავლების და სხვა საუნივერსიტეტო სერვისების ხარისხის გაუმჯობესებაზე, უპასუხოს მისი ძირითადი დაინტერესებული მხარეების მოლოდინებს, რელევანტურია დანერგოს სხვადასხვა ტიპის კვლევები. კვლევის მეთოდოლოგიაში აღწერილია დაგეგმილი კვლევების ტიპები და მათი განხორციელების პერიოდულობა.



დანართის სახით დოკუმენტს ახლავს გამოკითხვის ინსტრუმენტები/კითხვარები, რომელსაც უნივერსიტეტი პერიოდულად გამოიყენებს ხარისხზე დაკვირვებისთვის და მისი გაუმჯობესებისთვის. კითხვარები ექვემდებარება განახლებასა და მოდიფიცირებას.

კვლევების მიზანია ხელი შეუწყოს როგორც უნივერსიტეტის სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის გამოწვევების იდენტიფიცირებას, ისე კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების საჭიროებების დადგენას სისტემატიზირებული გამოკითხვებისა და კვლევების მეშვეობით, რათა გათვალისწინებულ იქნეს კონკრეტული სამიზნე აუდიტორიის რეკომენდაციები, მისი პრაქტიკული გამოყენება სწავლა/სწავლების პროცესში. კვლევების შედეგების და შეფასების გაანალიზება დაეხმარება უნივერსიტეტს განახორციელოს მოკლევადიანი და გრძლევადიანი გეგმები ხარისხის გაუმჯობესების კუთხით. რეგულარული კვლევების განხორციელება არის სასწავლო პროცესებზე დაკვირვების, მონიტორინგის ერთ - ერთი ინსტრუმენტი. მეთოდოლოგიის მიზანია კვლევების განხორციელების, ანალიზისა და რეაგირებისათვის შექმნას სტანდარტიზებული გზამკვლევი.

## უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული კვლევის ტიპები

### 1. სტუდენტის მიერ უნივერსიტეტის სერვისების შეფასების კითხვარი

სტუდენტის მიერ უნივერსიტეტის სერვისების შეფასების კვლევა არის რეგულარული პროცესი, რომელიც ტარდება წელიწადში ერთხელ სასწავლო წლის დასასრულს და მისი მიზანია სტუდენტის ზოგადი კმაყოფილების დადგენა. კვლევის მიზანს წარმოადგენს სტუდენტების დამოკიდებულებების შესწავლა და მათი მხრიდან უკუკავშირების მიღება სასწავლო - საგანმანათლებლო პროცესზე, სტუდენტური მხარდაჭერის სერვისებსა და მატერიალურ - ტექნიკურ ბაზაზე.

სტუდენტის მიერ უნივერსიტეტის სერვისების შეფასების კითხვარი იძლევა შესაძლებლობას სტუდენტებმა თავისუფლად გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები, შენიშვნები და სურვილები უნივერსიტეტში არსებული სერვისების შესახებ. მათი ჩართულობა იძლევა შესაძლებლობას გავაუმჯობესოთ საგანმანათლებლო სივრცე და სასწავლო - საგანმანათლებლო პროცესი **(დანართი N1)**.

## **2. სტუდენტის მიერ ლექტორის შეფასების კითხვარი**

სტუდენტის მიერ ლექტორის შეფასების კვლევა არის რეგულარული პროცესი, რომელიც ტარდება სემესტრში ერთხელ. კვლევის მიზანია სტუდენტთა მიერ აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება, რათა მიღებული უკუკავშირი გამოყენებული იქნას სწავლა - სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად. სტუდენტის მიერ ლექტორის შეფასების კითხვარის საშუალებით ხდება შემდეგი პუნქტების შეფასება: ცოდნის გადაცემის უნარი, სწავლა - სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენება, სტუდენტთა ობიექტური შეფასება, კომუნიკაციის უნარი და ა.შ. **(დანართი N2)**.

## **3. სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის შეფასების კითხვარი**

სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის შეფასების კვლევა არის რეგულარული პროცესი, რომელიც ტარდება სემესტრში ერთხელ. კვლევის მიზანია სტუდენტთა მიერ მიმდინარე სემესტრში საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმით განსაზღვრული თითოეული სასწავლო კურსის შეფასება. კვლევის ფარგლებში სტუდენტები აფასებენ კურსის მოცულობას, შეფასების ფორმებს, შეფასების მეთოდებს, სწავლა - სწავლების მეთოდოლოგიას, მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობებს და სხვ. სტუდენტების შეფასება ეხმარება უნივერსიტეტს სისტემატურად მოახდინოს გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება და გააუმჯობესოს სწავლა - სწავლების ხარისხი **(დანართი N3)**.

## **4. სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი**

სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კვლევა არის რეგულარული პროცესი, რომელიც ტარდება 3 (სამი) წელიწადში ერთხელ. კვლევის მიზანია სტუდენტთა მიერ საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის დადგენა და გასაუმჯობესებელი და ძლიერი მხარეების გამოვლენა. კითხვარი შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს თავისუფლად

გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები, შესაძლებლობები, შენიშვნები და სურვილები საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს მის გაუმჯობესებას მომავალში (დანართი N4).

#### **5. კურსდამთავრებულის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი**

კურსდამთავრებულის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კვლევა არის რეგულარული პროცესი, რომელიც ტარდება წელიწადში ერთხელ. კვლევის მიზანია კურსდამთავრებულთა მიერ საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის დადგენა, შესაძლებლობების იდენტიფიცირება, გასაუმჯობესებელი და ძლიერი მხარეების გამოვლენა. მნიშვნელოვანია დავადგინოთ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი სპეციალობის (დარგის) თუ არა სპეციალობის (არა დარგის) შესაბამისად და სხვა. კითხვარი შესაძლებლობას აძლევს კურსდამთავრებულებს თავისუფლად გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები, შენიშვნები და სურვილები საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს მის გაუმჯობესებას მომავალში (დანართი N5).

#### **6. დამსაქმებლის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი**

დამსაქმებელთა მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კვლევა არის რეგულარული პროცესი, რომელიც ტარდება წელიწადში ერთხელ. დამსაქმებელთა მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება უმნიშვნელოვანესი პროცესია, როგორც პროგრამის შემუშავების ეტაპზე, ასევე საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელებისა და მოდიფიცირების ეტაპზე. კვლევის მიზანს წარმოადგენს, დადასტურდეს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და სასწავლო გეგმის შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და გამოიკვეთოს პროგრამის შესაძლებლობები, კონკურენტული უპირატესობები, გასაუმჯობესებელი და ძლიერი მხარეები. შეფასების შედეგების ანალიზი ეხმარება უნივერსიტეტს საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესებაში, დახვეწასა და კონკურენტული უპირატესობის მოპოვებაში (დანართი N6).

#### **7. აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების შეფასების კითხვარი**

აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევა არის რეგულარული პროცესი, რომელიც ტარდება წელიწადში ერთხელ. კვლევის მიზანია აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების დონის დადგენა უნივერსიტეტის მართვის სტილით და გადაწყვეტილებების მიღების კოორდინაციით, უნივერსიტეტის მატერიალურ - ტექნიკური რესურსით, საბიბლიოთეკო რესურსითა და წახალისების მექანიზმებით. კითხვარი იძლევა შესაძლებლობას აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა თავისუფლად გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები უნივერსიტეტში არსებული

სერვისების შესახებ. პერსონალის ჩართულობა გვაძლევს შესაძლებლობას გავაუმჯობესოთ უნივერსიტეტის სერვისები და გავხადოთ უფრო მორგებული მათ საჭიროებებზე (დანართი N7).

## **8. ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების შეფასების კითხვარი**

ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევა არის რეგულარული პროცესი, რომელიც ტარდება წელიწადში ერთხელ. კვლევის მიზანია უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალისგან მისი საქმიანობის შესახებ უკუკავშირის მიღება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: მართვის სტილი, პერსონალის განვითარებაზე ზრუნვა, ინფრასტრუქტურა, პროცედურები. უნივერსიტეტის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია სხვადასხვა ასპექტში შეაფასოს ორგანიზაციის მართვის პროცესები და მოახდინოს განვითარების შესაძლებლობების იდენტიფიცირება (დანართი N8).

### **კვლევის განხორციელების პროცედურები და პროცესი**

#### **პასუხისმგებელი პირები**

„ნეუ ეროვნულ საგანმანათლებლო უნივერსიტეტში“ არსებულ ყველა კვლევას აქვს განსაზღვრული კვლევის ჩატარების პერიოდულობა. წინასწარ არის განსაზღვრული თუ რა სიხშირით ტარდება ესა თუ ის კვლევა. ყველა ტიპის კვლევის ადმინისტრირება და განხორციელება ეკისრება ხარისხის მართვის სამსახურს. კვლევის ინსტრუმენტების/კითხვარების მოდიფიკაციისთვის შედეგების ანალიზის პროცესში შესაძლებელია ჩაერთონ ადმინისტრაციული ერთეულების თანამშრომლები.

#### **კვლევის ინსტრუმენტები**

შემუშავებული კვლევის ინსტრუმენტები პერიოდულად საჭიროებს მოდიფიკაციას. ამიტომ, კვლევის ყოველი ახალი ეტაპის დაწყების წინ, შესაძლოა მოხდეს წინა გამოცდილებაზე დაფუძნებით კითხვარის გადახედვა, რომელიმე კითხვის ფორმულირების დახვეწის, ახალი კითხვების დამატების/შეცვლის მიზნით. აღნიშნულ პროცესში შესაძლებელია ჩაერთონ ადმინისტრაციული ერთეულების თანამშრომლები, გარე დაინტერესებული პირები და სხვა.

#### **კვლევის ადმინისტრირება**

კვლევის ჩატარების პერიოდულობა და სიხშირე განსხვავდება კვლევის ტიპების მიხედვით. ცხრილებში

მოცემულია თითოეული კვლევის ტიპის ადმინისტრირების დეტალები. კვლევის ჩატარების სიხშირე შესაძლებელია განისაზღვროს წინამდებარე დოკუმენტში მითითებული პერიოდულობისგან განსხვავებული სიხშირით საჭიროებიდან გამომდინარე (იხ. ცხრილი 1).

**ცხრილი 1. სტუდენტის მიერ უნივერსიტეტის სერვისების შეფასების კითხვარი**

კვლევის ტიპი	სტუდენტის მიერ უნივერსიტეტის სერვისების შეფასება
რესპონდენტები	სტუდენტები
კვლევის ჩატარების სიხშირე	წელიწადში ერთხელ აკადემიური წლის ბოლოს
კვლევის ანგარიშის მომზადება	კვლევის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვე
შერჩევის ტიპი	სრული დაფარვა
გამოკითხვის მეთოდი	ელექტრონული გამოკითხვა
გამოკითხვის პლატფორმა	სტუდენტური ბაზა
კვლევის ინსტრუმენტი	სტრუქტურირებული ანკეტა ღია და დახურული კითხვებით

**ცხრილი 2. სტუდენტის მიერ ლექტორის შეფასების კითხვარი**

კვლევის ტიპი	სტუდენტის მიერ ლექტორის შეფასება
რესპონდენტები	სტუდენტები
კვლევის ჩატარების სიხშირე	სემესტრში ერთხელ
კვლევის ანგარიშის მომზადება	კვლევის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვე
შერჩევის ტიპი	სრული დაფარვა
გამოკითხვის მეთოდი	ელექტრონული გამოკითხვა
გამოკითხვის პლატფორმა	სტუდენტური ბაზა

კვლევის ინსტრუმენტი	სტრუქტურირებული ანკეტა ღია და დახურული კითხვებით
---------------------	--

**ცხრილი 3. სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის შეფასების კითხვარი**

კვლევის ტიპი	სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის შეფასება
რესპონდენტები	სტუდენტები
კვლევის ჩატარების სიხშირე	სემესტრში ერთხელ
კვლევის ანგარიშის მომზადება	კვლევის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვე
შერჩევის ტიპი	სრული დაფარვა
გამოკითხვის მეთოდი	ელექტრონული გამოკითხვა
გამოკითხვის პლატფორმა	სტუდენტური ბაზა
კვლევის ინსტრუმენტი	სტრუქტურირებული ანკეტა ღია და დახურული კითხვებით

**ცხრილი 4. სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი**

კვლევის ტიპი	სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება
რესპონდენტები	სტუდენტები
კვლევის ჩატარების სიხშირე	წელიწადში ერთხელ აკადემიური წლის ბოლოს
კვლევის ანგარიშის მომზადება	კვლევის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვე
შერჩევის ტიპი	სრული დაფარვა
გამოკითხვის მეთოდი	ელექტრონული გამოკითხვა
გამოკითხვის პლატფორმა	სტუდენტური ბაზა
კვლევის ინსტრუმენტი	სტრუქტურირებული ანკეტა ღია და დახურული კითხვებით

ცხრილი 5. კურსდამთავრებულის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი

კვლევის ტიპი	კურსდამთავრებულის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება
რესპონდენტები	კურსდამთავრებულები
კვლევის ჩატარების სიხშირე	წელიწადში ერთხელ აკადემიური წლის ბოლოს
კვლევის ანგარიშის მომზადება	კვლევის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვე
შერჩევის ტიპი	სრული დაფარვა
გამოკითხვის მეთოდი	ელექტრონული გამოკითხვა
გამოკითხვის პლატფორმა	Google Forms
კვლევის ინსტრუმენტი	სტრუქტურირებული ანკეტა ღია და დახურული კითხვებით

ცხრილი 6. დამსაქმებლის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი

კვლევის ტიპი	დამსაქმებლების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება
რესპონდენტები	დამსაქმებლები

კვლევის ჩატარების სიხშირე	წელიწადში ერთხელ აკადემიური წლის ბოლოს
კვლევის ანგარიშის მომზადება	კვლევის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვე
შერჩევის ტიპი	სრული დაფარვა
გამოკითხვის მეთოდი	ელექტრონული გამოკითხვა
გამოკითხვის პლატფორმა	Google Forms
კვლევის ინსტრუმენტი	სტრუქტურირებული ანკეტა ღია და დახურული კითხვებით

**ცხრილი 7. აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების შეფასების კითხვარი**

კვლევის ტიპი	აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების შეფასება
რესპონდენტები	აკადემიური და მოწვეული პერსონალი
კვლევის ჩატარების სიხშირე	წელიწადში ერთხელ აკადემიური წლის ბოლოს
კვლევის ანგარიშის მომზადება	კვლევის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვე
შერჩევის ტიპი	სრული დაფარვა
გამოკითხვის მეთოდი	ელექტრონული გამოკითხვა
გამოკითხვის პლატფორმა	Google Forms
კვლევის ინსტრუმენტი	სტრუქტურირებული ანკეტა ღია და დახურული კითხვებით

**ცხრილი 8. ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების შეფასების კითხვარი**

კვლევის ტიპი	ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების შეფასება
--------------	--

რესპონდენტები	ადმინისტრაციული პერსონალი
კვლევის ჩატარების სიხშირე	წელიწადში ერთხელ აკადემიური წლის ბოლოს
კვლევის ანგარიშის მომზადება	კვლევის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვე
შერჩევის ტიპი	სრული დაფარვა
გამოკითხვის მეთოდი	ელექტრონული გამოკითხვა
გამოკითხვის პლატფორმა	Google Forms
კვლევის ინსტრუმენტი	სტრუქტურირებული ანკეტა ღია და დახურული კითხვებით

### კვლევის შედეგების ანალიზი

კმაყოფილების კვლევის შედეგებს ანალიზებს და ანგარიშს ამზადებს ხარისხის მართვის სამსახური. კმაყოფილების კვლევის ანალიზის შედეგად, ხარისხის მართვის სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებს. კვლევის შედეგად გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსწორების მიზნით შედეგები ეცნობება სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს. კვლევის შესაბამისი შედეგები განსახილველად უნდა წარედგინოს უნივერსიტეტის სენატს, სტრუქტურულ ერთეულებს, პროგრამების განმახორციელებელ პერსონალს (პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური და მოწვეული პერსონალი). კვლევის შედეგებზე და რეკომენდაციებზე დაყრდნობით შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები/პირები ახორციელებენ რეაგირებას და შედეგებს ანგარიშის სახით წარუდგენენ ხარისხის მართვის სამსახურს. კვლევა რეგულარულ ხასიათს ატარებს, რაც გამოკითხვის შედეგებზე რეაგირების ეფექტურობის შეფასების საშუალებას იძლევა.

### კვლევის შედეგების გავრცელება

კვლევის შედეგებზე რეაგირების გავრცელება ხდება კვლევაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეებთან. კვლევის შედეგებზე რეაგირების გავრცელება ხელს უწყობს რესპონდენტების კვლევებში მონაწილეობის მოტივაციისა და ხარისხის ამაღლებას. კვლევის შედეგების გამოყენება ხდება უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესების მიზნით.

დანართი N1 - სტუდენტის მიერ უნივერსიტეტის სერვისების შეფასების კითხვარი

*ძვირფასო სტუდენტებო,*

*მოგესალმებით,*

*გთხოვთ, მიიღოთ მონაწილეობა კვლევაში. კვლევაში მონაწილეობისათვის საჭიროა დაახლოებით 10 წუთი, პასუხები ანონიმური და კონფიდენციალურია! გვაქვს თქვენი გულწრფელობისა და ობიექტურობის იმედი!*

*კითხვარი იძლევა შესაძლებლობას სტუდენტებმა თავისუფლად გამოხატონ მოსაზრებები უნივერსიტეტში არსებული სერვისების შესახებ. მეტად მნიშვნელოვანია, რომ თითოეულმა თქვენგანმა მაქსიმალურად გამოხატოს საკუთარი მოსაზრებები, შენიშვნები და სურვილები.*

*თქვენი ჩართულობა გვაძლევს შესაძლებლობას გავაუმჯობესოთ საგანმანათლებლო სივრცე და მოგცეთ შესაძლებლობა თავად იყოთ მუდმივად ჩართული მისი განვითარების პროცესებში.*

**წინასწარ გიხდით მადლობას კვლევაში მონაწილეობისთვის!**

მიუთითეთ თქვენთვის ყველაზე მისაღები პასუხი 1 - დან 5 - მდე ქულის მითითებით სადაც:

1 - ნიშნავს საერთოდ არ ვეთანხმები;

2 - არ ვეთანხმები;

3 - ნეიტრალური პოზიცია;

4 - ვეთანხმები;

5 - სრულიად ვეთანხმები;

ღია კითხვების შემთხვევაში, გთხოვთ მიუთითოთ თქვენი აზრი წერილობით.

უნივერსიტეტის კამპუსი და მატერიალ - ტექნიკური ბაზა

უნივერსიტეტის კამპუსი და მატერიალ - ტექნიკური ბაზა	საერთოდ არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ნეიტრალური პოზიცია	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები
უნივერსიტეტის კამპუსის ადგილმდებარეობა ადვილად მისადგომია					
უნივერსიტეტში არსებული გარემო კეთილგანწყობილია					
უნივერსიტეტში არსებული ინფრასტრუქტურა ქმნის კომფორტულ გარემოს					
უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა ადაპტირებულია შშმ პირთათვის					
უნივერსიტეტის კამპუსთან არსებობს ავტოსადგომი საკმარისი ადგილებით					
უნივერსიტეტში არსებული დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური ქმნის უსაფრთხო გარემოს					
უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ხანძარსა და ინფრასტრუქტურის ინვენტარისა და ევაკუაციის გეგმის თვალსაჩინოდ განთავსებას					
უნივერსიტეტში არსებული სამედიცინო სერვისი					

ხელმისაწვდომია სწავლების მთელი დროის განმავლობაში					
უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია გათბობის სისტემა					
უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია გაგრილების სისტემა					
უნივერსიტეტში არსებული სტუდენტური სივრცეები კომფორტულია					
უნივერსიტეტის ლაუნჯი აღჭურვილია “snack” – ის აპარატებით					
უნივერსიტეტის სანიტარულ კვანძები აღჭურვილია სათანადოდ და სისუფთავე დაცულია					
უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ - გვერდი ინფორმაციულია და ტექნიკურად გამართულია					

სასწავლო - საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებული ტექნიკური ბაზა

სასწავლო - საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებული ტექნიკური ბაზა	საერთოდ არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ნეიტრალური პოზიცია	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები
სტუდენტური ბაზა მოსახერხებელი და კომფორტულია					
უნივერსიტეტის კამპუსი აღჭურვილია WIFI ინტერნეტით					
უნივერსიტეტში არსებული კომპიუტერული ოთახი აღჭურვილია შესაბამისი რესურსებით					
უნივერსიტეტში საბიბლიოთეკო სივრცე ორიენტირებულია მეცადინეობასა და განტვირთვაზე					
უნივერსიტეტში საბიბლიოთეკო სივრცე აღჭურვილია შესაბამისი რესურსებით					
ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურა მრავალფეროვანია					

ბიბლიოთეკა ალჭურვილია ელექტრონული წიგნებით					
ბიბლიოთეკის პერსონალი საჭიროების შემთხვევაში იძლევა კონსულტაციებს					
ბიბლიოთეკის ელექტრონული საძიებო სისტემა მოსახერხებელია					
ბიბლიოთეკის საერთაშორისო სამეცნიერო ბაზები ხელმისაწვდომია როგორც ადგილზე, ასევე დისტანციურად					

სასწავლო - საგანმანათლებლო პროცესი და მასში სტუდენტების ჩართულობა

სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესი და მასში სტუდენტების ჩართულობა	საერთოდ არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ნეიტრალური პოზიცია	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები
უნივერსიტეტში მაღალია აკადემიური თავისუფლების ხარისხი და სტუდენტის უფლებები დაცულია					
სტუდენტები იცნობენ აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის ნორმებს					
სტუდენტები ჩართულები არიან უნივერსიტეტის მმართველობით ორგანოებში					

სტუდენტები ჩართულები არიან საგანმანათლებლო პროცესის გაუმჯობესებაში					
სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები სასწავლო აკადემიურ პროცესთან დაკავშირებით					
სტუდენტს აქვს შესაძლებლობა გახდეს სტუდენტური თვითმმართველობის წევრი					
სტუდენტს აქვს უფლება გაასაჩივროს თავისი საგამოცდო ნაშრომი					

**სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები**

სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	საერთოდ არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ნეიტრალური პოზიცია	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები
უნივერსიტეტში არსებობს სხვადასხვა სახის შეღავათები სწავლის საფასურზე					
უნივერსიტეტში არსებობს სწავლის საფასურის გადახდის სხვადასხვა მოქნილი სისტემა					

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის ღონისძიებების (სპორტული, გასართობი, შემეცნებითი) ჩატარებას					
უნივერსიტეტი მუდმივად აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ					
უნივერსიტეტის კარიერული მხარდაჭერის ცენტრი პერიოდულად მართავს დასაქმების მხარდამჭერ ღონისძიებებს					
უნივერსიტეტში პერიოდულად ტარდება სხვადასხვა სახის კონკურსები					
სტუდენტი იღებს საჭირო ინფორმაციას და მხარდაჭერას ადმინისტრაციული პერსონალის მხრიდან					
უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტთა ჩართულობას სამეცნიერო კონფერენციებში					

**დანართი N2 - სტუდენტის მიერ ლექტორის შეფასების კითხვარი**

*ძვირფასო სტუდენტებო,*

*მოგესალმებით,*

*გთხოვთ, მიიღოთ მონაწილეობა კვლევაში. კვლევაში მონაწილეობისათვის საჭიროა დაახლოებით 10 წუთი, პასუხები ანონიმური და კონფიდენციალურია! გვაქვს თქვენი გულწრფელობისა და ობიექტურობის იმედი!*

კითხვარი იძლევა შესაძლებლობას „ნეუ ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის“ სტუდენტებმა თავისუფლად გამოხატონ მოსაზრებები უნივერსიტეტში მოღვაწე აკადემიური/მოწვეულის მიმართ. მეტად მნიშვნელოვანია, რომ თითოეულმა თქვენგანმა მაქსიმალურად გამოხატოს საკუთარი მოსაზრებები, შენიშვნები და სურვილები.

თქვენი ჩართულობა გვაძლევს შესაძლებლობას გავაუმჯობესოთ თქვენი საგანმანათლებლო სივრცე და მოგცეთ შესაძლებლობა თავად იყოთ მუდმივად ჩართული მისი განვითარების პროცესებში.

**წინასწარ გიხდით მადლობას კვლევაში მონაწილეობისთვის!**

მიუთითეთ თქვენთვის ყველაზე მისაღები პასუხი 1 - დან 5 - მდე ქულის მითითებით სადაც:

1 - ნიშნავს საერთოდ არ ვეთანხმები;

2 - არ ვეთანხმები;

3 - ნეიტრალური პოზიცია;

4 - ვეთანხმები;

5 - სრულიად ვეთანხმები;

ღია კითხვების შემთხვევაში, გთხოვთ მიუთითოთ თქვენი აზრი წერილობით.

1. სასწავლო კურსის დასაწყისში ლექტორი გასაგებად აცნობს სტუდენტს სასწავლო კურსის სილაბუსს, სასწავლო კურსის მიზნებსა და სწავლის შედეგებს.

1                    2                    3                    4                    5

დამატებითი კომენტარი:

2. სასწავლო კურსის დასაწყისში ლექტორი ნათლად სხნის სტუდენტთა შეფასების სისტემას.

1                    2                    3                    4                    5

დამატებითი კომენტარი:

3. ლექტორი ლექციას ატარებს პუნქტუალურად, ცხრილის მიხედვით დაგეგმილი გრაფიკით და გაცდენის შემთხვევაში დროულად ატყობინებს სტუდენტებს.

1            2            3            4            5

დამატებითი კომენტარი:

4. ლექტორი უზრუნველყოფს გაცდენილი ლექციების დროულად აღდგენას.

1            2            3            4            5

დამატებითი კომენტარი:

5. ლექტორი ავლენს საგნის სიღრმისეულ ცოდნას, როგორც თეორიულს, ასევე პრაქტიკულს.

1            2            3            4            5

დამატებითი კომენტარი:

6. ლექტორი დეტალურად და გასაგებად ხსნის სასწავლო მასალას.

1            2            3            4            5

დამატებითი კომენტარი:

7. ლექტორი იყენებს მაგალითებს, ილუსტრაციებს, პრეზენტაციებს მასალის ნათლად გადმოსაცემად.

1            2            3            4            5

დამატებითი კომენტარი:

8. ლექტორის მიერ ახსნილი მასალა ინტერაქციული და საინტერესოა.

1            2            3            4            5

დამატებითი კომენტარი:

9. ლექტორი ლექციის მსვლელობისას ინტერესდება თუ რამდენად კარგად იგებს სტუდენტი ახსნილ მასალას.

1            2            3            4            5

დამატებითი კომენტარი:

10. მასალის უკეთ გაგების მიზნით საუბრის დროს ლექტორს მოჰყავს მაგალითები და დამატებით ხსნის გაუგებარ თემებს.

1                    2                    3                    4                    5

დამატებითი კომენტარი:

11. ლექტორი ახალისებს სტუდენტის მხრიდან აზრის გამოთქმას და ლექციის განმავლობაში ცდილობს ყველა სტუდენტის ჩართვას.

1                    2                    3                    4                    5

დამატებითი კომენტარი:

12. ლექტორი ობიექტურად აფასებს სტუდენტს.

1                    2                    3                    4                    5

დამატებითი კომენტარი:

13. ლექტორი უზრუნველყოფს დამატებით კონსულტაციებს.

1                    2                    3                    4                    5

დამატებითი კომენტარი:

14. ლექტორი დროულად აძლევს სტუდენტს უკუკავშირს და განმავითარებელ შეფასებას.

1                    2                    3                    4                    5

დამატებითი კომენტარი:

15. ლექტორი დროულად ასახავს სტუდენტის შეფასებებს/ქულებს ელექტრონულ ბაზაში.

1                    2                    3                    4                    5

დამატებითი კომენტარი:

16. დაასახელეთ ლექტორის ძლიერი მხარეები:

-----  
-----

17. დაასახელეთ ლექტორის გასაუმჯობესებელი მხარეები:

-----  
-----

18. დამატებითი შენიშვნები/რეკომენდაციები:

-----  
-----  
დანართი N3 - სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის შეფასების კითხვარი

*ძვირფასო სტუდენტებო,*

*მოგესალმებით,*

*გთხოვთ, მიიღოთ მონაწილეობა კვლევაში. კვლევაში მონაწილეობისათვის საჭიროა დაახლოებით 10 წუთი, პასუხები ანონიმური და კონფიდენციალურია! გვაქვს თქვენი გულწრფელობისა და ობიექტურობის იმედი!*

*კითხვარი იძლევა შესაძლებლობას უნივერსიტეტის სტუდენტებმა შეაფასონ საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო კურსები. მეტად მნიშვნელოვანია, რომ თითოეულმა თქვენგანმა მაქსიმალურად გამოხატოს საკუთარი მოსაზრებები, შენიშვნები და სურვილები.*

*თქვენი ჩართულობა გვაძლევს შესაძლებლობას გავაუმჯობესოთ თქვენი საგანმანათლებლო სივრცე და მოგცეთ შესაძლებლობა თავად იყოთ მუდმივად ჩართული მისი განვითარების პროცესებში.*

***წინასწარ გიხდით მადლობას კვლევაში მონაწილეობისთვის!***

მიუთითეთ თქვენთვის ყველაზე მისაღები პასუხი 1 - დან 5 - მდე ქულის მიუთითებით სადაც:

1 - ნიშნავს საერთოდ არ ვეთანხმები;

2 - არ ვეთანხმები;

3 - ნეიტრალური პოზიცია;

4 - ვეთანხმები;

5 - სრულიად ვეთანხმები;

ღია კითხვების შემთხვევაში, გთხოვთ მიუთითოთ თქვენი აზრი წერილობით.

გთხოვთ, მიუთითოთ სასწავლო კურსი რომელსაც აფასებთ: \_\_\_\_\_

1. რამდენად უზრუნველყოფს სასწავლო კურსი პროფესიისათვის საჭირო კომპეტენციების ჩამოყალიბებას.

1            2            3            4            5

დამატებითი კომენტარი:

2. რამდენად მნიშვნელოვანია აღნიშნული სასწავლო კურსის გავლა პროგრამის ფარგლებში.

1            2            3            4            5

დამატებითი კომენტარი:

3. რამდენად გასაგებია სასწავლო კურსით გათვალისწინებული მასალის შინაარსი.

1            2            3            4            5

დამატებითი კომენტარი:

4. რამდენად ადეკვატურია სასწავლო კურსით გათვალისწინებული მასალის მოცულობა.

1            2            3            4            5

დამატებითი კომენტარი:

5. რამდენად შეესაბამება საგამოცდო მასალა სასწავლო კურსის ფარგლებში გავლილ მასალას.

1            2            3            4            5

დამატებითი კომენტარი:

6. რამდენად ადეკვატურია სწავლების/სწავლის მეთოდები სასწავლო კურსის შედეგების მისაღწევად.

1            2            3            4            5

დამატებითი კომენტარი:

7. რამდენად საკმარისია სასწავლო კურსისათვის განკუთვნილი საკონტაქტო საათების რაოდენობა ლექტორის მიერ მასალის ასახსნელად.

1            2            3            4            5

დამატებითი კომენტარი:

8. რამდენად იყო დატვირთული სასწავლო კურსი გამოყენებითი, პრაქტიკული დავალებებითა და სავარჯიშოებით, რომელიც შესაძლებელს ხდის მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას.

1            2            3            4            5

დამატებითი კომენტარი:

9. რამდენად ეფექტურია სასწავლო კურსით გათვალისწინებული შეფასების ფორმები სტუდენტის ცოდნის შეფასებისათვის.

1            2            3            4            5

დამატებითი კომენტარი:

10. როგორია თქვენი ზოგადი კმაყოფილება აღნიშნული სასწავლო კურსის მიმართ.

1            2            3            4            5

დამატებითი კომენტარი:

11. დაასახელეთ გზები, რომლებიც დაგეხმარებათ სასწავლო კურსის დამლევასთან დაკავშირებული პრობლემის გადაჭრაში:

-----  
-----

12. დამატებითი შენიშვნები/რეკომენდაციები:



**დანართი N4 - სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი**

**ძვირფასო სტუდენტებო,**

მოგესალმებით,

გთხოვთ, მიიღოთ მონაწილეობა კვლევაში. კვლევაში მონაწილეობისათვის საჭიროა დაახლოებით 10 წუთი, პასუხები ანონიმური და კონფიდენციალურია! გვაქვს თქვენი გულწრფელობისა და ობიექტურობის იმედი!

კითხვარი იძლევა შესაძლებლობას უნივერსიტეტის სტუდენტებმა თავისუფლად გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ. მეტად მნიშვნელოვანია, რომ თითოეულმა თქვენგანმა მაქსიმალურად გამოხატოს საკუთარი მოსაზრებები, შენიშვნები და სურვილები.

თქვენი ჩართულობა გვაძლევს შესაძლებლობას გავაუმჯობესოთ საგანმანათლებლო პროგრამა და მოგცეთ შესაძლებლობა თავად იყოთ მუდმივად ჩართული მისი განვითარების პროცესებში.

**წინასწარ გიხდით მადლობას კვლევაში მონაწილეობისთვის!**

მიუთითეთ თქვენთვის ყველაზე მისაღები პასუხი 1 - დან 5 - მდე ქულის მითითებით სადაც:

- 1 - ნიშნავს საერთოდ არ ვეთანხმები;
- 2 - არ ვეთანხმები;
- 3 - ნეიტრალური პოზიცია;
- 4 - ვეთანხმები;
